დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს პოლიგლოტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200160798

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გუდამაყრის ქ., №4
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გუდამაყრის ქ., №4
საფოსტო ინდექსი	0141
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://polygloti.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	school_polygloti@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2 600 221; 2 144 145;
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მზია დაუშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 572 559
ელ-ფოსტა	mziadaushvili@yahoo.com

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N184986 ბრძანება, რომლის გამოცემის ერთ-ერთი საფუძველი იყო სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული 2021 წლის 10 დეკემბრის №10-5/11860 წერილი.
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე (თავმჯდომარე) ნანა ედიშერაშვილი (წევრი)
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	2022 წლის 2 მარტი
დასკვნის მომზადების თარიღი	2022 წლის 18-20 მარტი
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	2022 წლის 21 მარტი

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☐	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☐	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☐	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☐	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☐	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☐	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☐	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☐	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☐	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☐	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☐	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☐	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☐	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☐	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☐	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☐	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☐	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☐	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☐	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☐	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☐	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☐	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	თბილისის კერძო სკოლა „პოლიგლოტის“ მისია არის ეფექტური, უსაფრთხო, მოდერნიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც მოწოდებულია, აღზარდოს პატრიოტი, თავისუფლად მოაზროვნე, სოციალურად აქტიური მოქალაქე, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში და მომავალში პროდუქტიულ წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სკოლის დანიშნულებაა , ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა პატივისცემა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება, სამოქალაქო და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, ტოლერანტობის პრინციპები პიროვნულ და რელიგიურ ურთიერთობებში. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ხარისხიან საგანმანათლებლო მომსახურებათა გაწევას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მომავალში დამოუკიდებლად აითვისონ ახალი ცოდნა, შეძლონ წარმატებული კარიერული საქმიანობა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლა მოწოდებულია , შექმნას ხელსაყრელი პირობები ყოველი მოსწავლისა და მასწავლებლის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის, თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვევისათვის მათი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა ორიენტირებულია უცხო ენების გაძლიერებით სწავლებაზე, რისთვისაც სწავლებას ახორციელებს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების საშუალო განათლების სასწავლო პროგრამებს. სკოლის საქმიანობა მიმართულია ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო პროექტების ფართოდ დანერგვისაკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძო სკოლა „პოლიგლოტის“ ღირსეული ადგილის დამკვიდრებას თბილისის კონკურენტუნარიან სკოლებს შორის. სკოლა მოწოდებულია , პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს როგორც მიკროსოციუმის, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სკოლებთან.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის დროს რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილი წესდება, შინაგანაწესი, დებულება სხვა საქმიანობის წარმართვისა და პროცედურათა ამსახველი დოკუმენტაცია ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა იყო გარკვეული შეუსაბამობაც, და რადგანაც ვიზიტის განხორციელების საფუძველის ზემოთ ნახსენები სახალხო დამცველის წერილი ეხებოდა სკოლაში მომხდარ შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებს, ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილ პროცედურებსა და სკოლის მიერ განხორციელებულ ქმედებებს შორის, ასევე დოკუმენტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენას. დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა შემდეგი: **1. შეუსაბამობაა სკოლის შინაგანაწესსა და დირექტორის ბრძანებით შექმნილ მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობას შორის, კერძოდ** სკოლის შინაგანაწესის 28-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ <u>დისციპლინური დევნისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას იკვლევს</u>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	და დისციპლინური სახდელის დაკისრების/დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ რეკომენდაციას შეიმუშავებს და სკოლის დირექტორს წარუდგენს სკოლაში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფის დებულებით. ამ მუხლის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მონიტორინგის ჯგუფის დებულება, რომლის მე-5 მუხლით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა დისციპლინური დარღვევების მიმართულებით. აქ აღწერილი პროცედურის მიხედვით, მონიტორინგის ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წევრი უფლებამოსილია ისეთი ფაქტის არსებობისას, როდესაც შესაძლოა ადგილი აქვს დისციპლინური გადაცდომას, უნდა აღრიცხოს ოქმით (დარღვევის ფაქტის დაფიქსირების ოქმი), რომელიც დისციპლინური დევნის დაწყების ერთ-ერთ- საფუძველია (იხ. შინაგანაწესის მუხლი 28). ამის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი იკვლევს საქმის გარემოებას (შინაგანაწესი მუხლი 28) და დირექტორს აძლევს რეკომენდაციას დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე/დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგაც დირექტორი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილება რეკომენდაციის დაკმაყოფილებაზე, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (შინაგანაწესი მუხლი 28, პუნქტი 5), რის შემდეგაც დისციპლინური სახდელის დაკისრება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და შეიტანება დასაქმებულის/მოსწავლის პირად საქმეში (მონიტორინგის ჯგუფის დებულება მუხლი 5. პუნქტი 6.). ამ პროცედურების მიუხედავად, სკოლამ არ განახორციელა დისციპლინური დევნა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენებ სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან ირკვევა, მიმდინარე წლის პირველ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სემესტრში შედგენილია 8!(რვა) დარღვევის დაფიქსირების ოქმი, თუმცა აღარ განხორციელებულა შემდგომი დისციპლინური დევნა და საქმის მოკვლევა. დირექტორმა აღნიშნული ფაქტი ახსნა ჰუმანურობიდან გამომდინარე, რადგან არ სურდა მოსწავლისთვის დისციპლინური სახდელი გამოეტანა. 2. **მონიტორინგის ჯგუფში შეყვანილია არაუფლებამოსილი პირი**, კერძოდ სკოლას ამავე (მონიტორინგის) დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით, <u>1. მონიტორინგის ჯგუფი შედგება სკოლის დირექტორისგან, დირექტორის მოადგილეებისგან და კათედრების ხელმძღვანელებისგან</u> - განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის ჯგუფი. ამ ჯგუფში დაწყებითი კათედრის ხელმძღვანელად დაფიქსირებულია სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც არ წარმოადგენს მასწავლებელს და შესაბამისად ვერც კათედრის წევრობის უფლებას მოიპოვებდა და ვერც კათედრის თავმჯდომარედ იქნებოდა. კათედრის წევრობა და თავმჯდომარედ არჩევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმასა (იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის მიერ ცენტრში გადმოგზავნილი მასალებში) და კათედრის დებულებაში (იხ. კათედრის დებულება პუნქტი 1.3. - სკოლის ვებგვერდზე http://polygloti.edu.ge/), რომელთა შესაბამისად კათედრის წევრი არის კათედრაში შემავალი საგნის ყველა მასწავლებელი, ხოლო კათედრის თავმჯდომარედ პირი აირჩევა კათედრის წევრებიდან. 3. **წარმოდგენილი დოკუმენტების კანონთან შესაბამისობის კუთხითაც არის გარკვეული უზუსტობებიც**, კერძოდ შინაგანაწესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით მოცემულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წარადგინოს სკოლაში დასაქმების მსურველმა,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ჩამონათვალს შორის არ არის გათვალისწინებული **ზოგადი განათლების შესახებ** საქართველოს კანონის **33[1] მუხლის** მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა სკოლას, რომ, ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რაც **სკოლამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ასახოს შინაგანაწესში და ამ ცნობის წარდგენის აუცილებლობა სამსახურის დაწყებისას, ამასთან მოქმედ დასაქმებულებს მოსთხოვოს ამ ცნობის წარმოდგენა**. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, სკოლამ განაცხადა, რომ შინაგანაწესში გაწერილ იქნა დისციპლინური დევნის პროცედურები (თუმცა ის გაწერილი ჰქონდა, სავარაუდოდ დაამატა პროცედურები) და მომავალში სკოლა იზრუნებს იმოქმედოს გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ასევე გაითვალისწინა ის რჩევა, რომ მონიტორინგის ჯგუფში შეცვალა არაუფლებამოსილი პირი - ფსიქოლოგი და ჩაანაცვლა დაწყებითი კათედრის თავმჯდომარედ. სკოლამ წარმოადგინა ამ ფაქტის დამადასტურებელი კათედრის სხდომის ოქმი - თავმჯდომარის არჩევაზე და ბრძანება - მონიტორინგის ჯგუფში ფსიქოლოგის ჩანაცვლებაზე. რაც შეეხება შინაგანაწესში ზოგადი განათლების შესახებ კანონის **33[1] მუხლის** მოთხოვნის გათვალისწინებას, სკოლამ წარმოადგინა, შინაგანაწესში ცვლილების შეტანის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ბრძანება და განაცხადა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ცნობის წარმოდგენას ყველა თანამშრომლის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; სკოლის დებულება; მონიტორინგის ჯგუფის დებულება; ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	სკოლამ საქმიანობა განახორციელოს ისე, როგორც მის მარეგულირებელ დოკუმენტებში აქვს პროცედურები აღწერილი, ან დოკუმენტებში ისეთი პროცედურები აღწეროს, რასაც რეალურად ახორციელებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა „პოლიგლოტის“ დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სასკოლო თემში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილეებისაგან: დირექტორის I მოადგილე - სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მართვის მენეჯერი; დირექტორის II მოადგილე - საორგანიზაციო საკითხების მართვის მენეჯერი. სკოლის ადმინისტრაცია შედგება: მთავარი ბუღალტრის, ფინანსური მენეჯერის, ოფისმენეჯერის, ბიბლიოთეკარის, IT მენეჯერისა და ფსიქოლოგისგან. მნიშვნელოვანი რგოლია პედაგოგიური საბჭო _ სკოლის მასწავლებელთა პროფესიულ-მეთოდოლოგიური ორგანო, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობს სკოლის ყველა მასწავლებელი. სკოლაში შექმნილია ოთხი დეპარტამენტი: საგანმანათლებლო დეპარტამენტი, ხარისხის მართვის დეპარტამენტი, არაფორმალური განათლების დეპარტამენტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. რომელთა დებულებები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის წინა პერიოდში მოთხოვნილი იყო სკოლის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება გადმოეგზავნა, **სკოლას მოცემული დებულებები არ წარმოუდგენია.** სკოლა „პოლიგლოტში“ ფუნქციონირებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც არის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანო და სკოლის სტრუქტურული ერთეული. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის უფლებამოსილებაში შედის როგორც საკუთრივ სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი, მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების მიზნით გამოკითხვების ჩატარება, სკოლაში შექმნილი ინოვაციური ჯგუფის საქმიანობაზე კონტროლი, ასევე სკოლის შინაგანაწესის და საგაკვეთილო პროცესში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. მონიტორინგის ჯგუფის უფლებამოსილებაა ასევე სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების შესრულებაზე კონტროლი. მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა 3 ძირითადი მიმართულებით იშლება: • სასწავლო პროცესის მონიტორინგი; • ინოვაციური ჯგუფის საქმიანობისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი/შეფასება; • მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა დისციპლინური დარღვევების მიმართულებით. სკოლა „პოლიგლოტის“ ამოცანაა - საიმედო, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რაც თითოეულ მოსწავლეს დაეხმარება სკოლაში საკუთარი შესაძლებლობების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მაქსიმალურად განვითარებასა და გამოვლენაში. ასევე სკოლის მართვის მნიშვნელოვან პრინციპად მითითებულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა (პოლიგლოტის დებულება, მუხლი 2 - პუნქტი 2 და 3). სკოლა პოლიგლოტს გააჩნია განახლებადი ვებგვერდი http://polygloti.edu.ge/, სადაც განთავსებული სიახლეებიდან ნათლად ჩანს, თუ რა აქტივობებს ახორციელებს სკოლა და რამდენადაა სასკოლო საზოგადოება ჩართული ამ პროცესებში. აქტიური და საინტერესო აქტივობები აქვს წარმოდგენილი სკოლას სოციალური ქსელის გვერდზეც: https://www.facebook.com/skolapoligloti/ სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციიდან და ვებ-გვერდიდან ჩანს, რომ სკოლაში უნდა არსებობდეს სასკოლო საზოგადების ყველა წევრისათვის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. თუმცა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულია 2021 წლის 10 დეკემბრის №10-5/11860 წერილი, სადაც აღწერილია, რომ სკოლაში არსებობს კონფლიქტისა და ბულინგის ფაქტები, მოსწავლე მშობლების თანხმობის გარეშე გადაყვანეს სრულიად დისტანციური სწავლების რეჟიმზე და, რომ არ განხორციელდა მისი სრულფასოვანი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ვიზიტის ფარგლებში მოცემული საკითხების სიღრმისეული შესწავლის მიზნით განხორციელდა სკოლა „პოლიგლოტის“ ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუირება. ექსპერტთა მხრიდან მოთხოვნა იყო, რომ ინტერვიუს დროს ჩართულიყვნენ ცენტრში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული 2021 წლის 10 დეკემბრის №10-5/11860 წერილში მოხსენიებული მოსწავლის კლასის ყველა მასწავლებელი და ასევე, ამ მოსწავლის ყველა ის მასწავლებელი, რომლებიც დღის მეორე ნახევარში, გახანგრძლივებულშიც ასწავლიდნენ მას, თუმცა სკოლამ ექსპერტებს წარუდგინა მხოლოდ ამ მოსწავლის მიმართ დარღვევის ოქმებში მოხსენიებული პედაგოგები. შესწავლილი გარემოებებით, დოკუმენტაციითა და მასწავლებელთა ინტერვიუირებით დგინდება, რომ სახალხო დამცველის წერილში მოხსენიებულ მოსწავლეს ახასიათებს იმპულსური, არაპროგნოზირებადი, ზოგჯერ აგრესიული რეაგირებები სასწავლო პროცესში არსებულ სტიმულებზე, რაც პერიოდულად ვლინდება დესტრუქციული ქცევით. მოსწავლის მოცემულ მახასიათებელზე აქვთ გამახვილებული ყურადღება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შეფასებისას და წარმოდგენილი სემესტრულ განმავითარებელ კომენტარებში. მაგალითად, მასწავლებლები აღწერენ მოსწავლის გასაუმჯობესებელ მხარეებს: ზოგჯერ უჭირს საგაკვეთილო პროცესში ყურადღების სრული კონცენტრაცია, ადვილად გადააქვს ყურადღება სხვა საკითხებზე, არის ზედმეტად აქტიური და იწვევს კლასში ხმაურს, უჭირს სხვების მოსმენა, გაკვეთილზე დამოუკიდებლად ჩართულობა. თუმცა მოსწავლე ამავე დროს გამოირჩევა მაღალი აკადემიური შედეგებით, შემოქმედებითი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	აზროვნებით, განვითარებული აქვს მაღალი სააზროვნო უნარები, უყვარს კითხვა, ხატვა. მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე უსწრებს მის ასაკს. მასწავლებლები და ფსიქოლოგი აღნიშნავდნენ, რომ ყოველი დესტრუქციული ქცევის შემდგომ, მოსწავლე მოგვიანებით აანალიზებს საკუთარ ქმედებას და მსჯელობს კიდეც ამით გამოწვეულ პრობლემებზე. სკოლის ფსიქოლოგი აღნიშნავდა, რომ მოსწავლის თვითმართვის პრობლემები თავს იჩენდა მისი გადაღლილობისას, ყველაზე მეტად გახანგრძლივებული სწავლების პერიოდში - დღის მეორე ნახევარში. ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ, მონიტორინგის ჯგუფის ოქმებში აღწერილი დარღვევები მოსწავლის მხრიდან ფიქსირდება მხოლოდ დღის პირველ ნახევარში, საგაკვეთილო პროცესის პერიოდში. მონიტორინგის ჯგუფის ოქმები მოსწავლის დისციპლინურ დარღვევებთან დაკავშირებით შედგენილია 2021 წლის 8 ოქტომბერს, 11 ოქტომბერს, 20 ოქტომბერს, 27 ოქტომბერს და 2 დეკემბერს. ოქმებზე არ არის მოსწავლის მშობლის ხელმოწერა ან რაიმე სახის დადასტურება, თუ რამდენად გაეცნო ის საკუთარი შვილის დისციპლინურ დარღვევებს გამოვლენის საწყის ეტაპზევე. თუმცა სკოლის დირექცია გასაუბრებისას აღნიშნავდა, რომ ყოველთვის ჰქონდა საუბრები მოსწავლის მშობლებთან მათი სკოლაში დაბარების გზით და ურჩევდა მათ მოსწავლის წაყვანას ფსიქოლოგთან ან ნევროპათოლოგთან. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ოქმებზე ხელი მოწერილი აქვთ იმ მოსწავლეების მშობლებს, ვის მიმართაც მოსწავლე ავლენდა დესტრუქციულ ქცევას. 2021 წლის 3 დეკემბერს სკოლა „პოლიგლოტის“ დირექტორსა და მოსწავლის მშობელს შორის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შედგა მორიგი შეხვედრა, სადაც დირექტორმა მშობელს კიდევ ერთხელ გააცნო შვილის ყოფაქცევის პრობლემები, დისციპლინური გადაცდომები და პრობლემის გადასაჭრელად და კვლავ ურჩია მოსწავლის ქცევის უკეთ მართვისათვის მიემართათ ფსიქოლოგისთვის/შესაბამისი სპეციალისტისთვის, ნევროპათოლოგისთვის და გაევლოთ მასთან კონსულტაცია. კლასში შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით კი მოსწავლე დროებით განერიდებინათ დასწრებით სასწავლო ფორმატიდან და გადაეყვანათ სრულიად ონლაინ სწავლების ფორმატზე. მშობლის მოთხოვნის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნებოდა მოსწავლე საგანმანათლებლო პროცესით დისტანციურ რეჟიმში. თუმცა მშობლებმა არ მოისურვეს მოსწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა. შესაბამისად, მოსწავლე დისტანციურ რეჟიმზე არც გადასულა მაგრამ ის აღარ ესწრებოდა გაკვეთილებს და მას შემდეგ აღარ ჩართულა საგაკვეთილო პროცესში. მოგვიანებით ფრანგული ენის მასწავლებელმა დარეკა მოსწავლის მშობელთან, რომელმაც თავისი ინფორმაციით იცოდა, რომ მოსწავლე იმყოფებოდა დისტანციურ სწავლებაზე, და მოიკითხა მოსწავლე, თუ რატომ არ ესწრებოდა დისტანციურ გაკვეთილებს და მიიღო პასუხად, რომ მოსწავლე გადაიყვანეს სხვა სკოლაში. 2022 წლის 11 თებერვალს სკოლამ მოსწავლის მშობელს გაუგზავნა წერილი რომ მოსწავლე 23 დღე არ დასწრებია საგაკვეთილო პროცესს და ითხოვა ახსნა-განმარტება. 2022 წლის 17 თებერვალს მოსწავლე მშობლის განცხადების საფუძველზე ამოირიცხა სკოლა „პოლიგლოტიდან“ და გადავიდა ააიპ თბილისის თავისუფალ ვალდორფის სკოლა-ბაღში. მოცემულ შემთხვევაში სკოლა „პოლიგლოტმა“ გამოიყენა პრობლემის გადაჭრის ლოკალური

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გზა, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ განხორციელდა გუნდური პროფესიული დიალოგი მოსწავლის ყველა პედაგოგის ჩართულობით, მათ შორის იმ პედაგოგების ჩართულობით, რომელთა გაკვეთილებზეც არ ხდებოდა ან ნაკლებად ხდებოდა მოსწავლის პრობლემური ქცევები. არ მოხდა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, მაპროვოცირებელ გარემოებებზე მსჯელობა, ან დადებითი ქცევების განმამტკიცებლების აღრიცხვა, ვერ მოხერხდა მოსწავლის დესტრუქციული ქცევის გამოვლენის პირველი შემთხვევისთანავე დაწყებულიყო სკოლაში მოსწავლის ქცევაზე ფოკუსირებული დაკვირვება სხვადასხვა გაკვეთილზე, იმპულსურ-ემოციური გამოვლინებების გამომწვევი მიზეზების დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება და ინტერვენციების შემუშავება, რაც გაზიარდებოდა ყველა საგნის მასწავლებლის მხრიდან, რომელთაც შეხება ჰქონდათ მეოთხე კლასის მოსწავლესთან. **მოცემულ შემთხვევაში ვერ მოახდინა სკოლამ გუნდური რეაგირება და ვერ განახორციელა ურთიერთ გაზიარებული მიდგომები მოსწავლის ქცევის მართვასთან დაკავშირებით.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ჰქონდა მცდელობები მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოეგვარებინა პრობლემა, მაგრამ მხოლოდ კლასის დამრიგებლის, ფსიქოლოგის, დირექტორის ცალკეული, თუმცა სისტემატიური რეაგირება მოცემულ შემთხვევაში არ აღმოჩნდა მოსწავლისთვის სარგებლიანი მისი პრობლემური ქცევის შესაცვლელად. ასევე აღსანიშნავია, რომ მოკლე პერიოდში მოსწავლის მხრიდან გამოვლენილი მრავლობითი იმპულსურ-ემოციური დარღვევები საყურადღებო ფაქტი უნდა ყოფილიყო სკოლისათვის, რათა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დაწყებულიყო მოკვლევა, ხომ არ ჰქონდათ შეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან. ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 41-ის პუნქტი 2-ის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე ქცევითი და ემოციური დარღვევითაც. ამ კუთხით არ ყოფილა საუბარი მოსწავლის მშობელთან. შესაძლებელია მოსწავლისათვის სასწავლო გარემოს ადაპტაციას დადებითი შედეგი გამოეღო, ხოლო შესაბამისი სასწავლო გარემოს დადგენის რეკომენდაციები უნდა მიეღოთ სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუირების დროს ამ საკითხზე რამოდენიმეჯერ გამახვილდა ყურადღება, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეს მენტალური და აზროვნებითი პრობლემები არ ჰქონდა, ის უსწრებდა თავის ასაკს აზროვნების განვითარებით და ვერ იქნებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. მათი მხრიდან ამის დაშვებაც არ გამოიკვეთა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა აზრით, შესაძლებელია მოსწავლის მშობელი არ დათანხმებულიყო მისი შვილისთვის სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მინიჭებაზე, თუმცა სკოლის მხრიდან ყველა შესაძლებლობა იქნებოდა მოსინჯული. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლის მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა. მოცემულ შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფის ოქმების გაცნობა, ან სკოლის მხრიდან მოსწავლის შინაგანაწესის დარღვევებზე მშობლის ინფორმირება არ დასტურდება მშობლის ხელმოწერით. სკოლის დირექტორმაც და დამრიგებელმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ცდილობდნენ ეთანამშრომლათ მოსწავლის დედასთან, რომელიც ნაკლებად იჩენდა ამის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ინიციატივას დროის უქონლობის გამო. ბოლო პერიოდში შვილის აღზრდის პროცესში შედარებით აქტიურად ჩაერთო მოსწავლის მამა. საბოლოოდ, მაინც ვერ მოხერხდა მშობლებთან თანამშრომლობა მოსწავლის სასარგებლოდ. სკოლას შესაძლოა გამოეყენებინა დისტანციური საკომუნიკაციო ინსტრუმენტები, მაგალითად, ელექტრონული ჟურნალის შეტყობინების ველები მშობლისათვის. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის შეფასების ველებს იყენებენ საგნობრივი პროგრამის ფარგლებში აკადემიური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიმართულებით განმავითარებელი კომენტარებისა და საშინაო დავალებების მისაწოდებლად. ელექტრონული ჟურნალის დახმარებით მოსწავლის თვითმართვასთან, მის ქცევასთან დაკავშირებით აღწერითი, კონსტრუქციული უკუკავშირები არ მიუწოდებიათ. შესაძლოა, ეს უკუკავშირები მშობლისთვის ბევრად უფრო საინტერესო ყოფილიყო, ვიდრე სკოლის ადმინისტრაციისა და მონიტორინგის ჯგუფის ოფიციალური რეაგირებები. საბოლოოდ, სკოლას ჰქონდა მცდელობები მოსწავლის რთული ქცევის მართვისათვის, თუმცა ეს არ აღმოჩნდა რელევანტური, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისად, პრობლემა ვერ მოგვარდა, დასრულდა მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლით. სკოლის დირექტორთან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ინციდენტი იყო ერთეული შემთხვევა და სკოლა ყოველ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების საშუალებას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არგუმენტირებული პასუხის წერილში სკოლამ მზაობა გამოთქვა, რომ გაითვალისწინებს ექსპერტთა რჩევას და მომავალში უზრუნველყოფს რეკომენდაციების დაცვით იმოქმედოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს სკოლა პოლიგლოტის დებულება; შპს სკოლა პოლიგლოტის მონიტორინგის ჯგუფის დებულება; შინაგანაწესი; შპს სკოლა პოლიგლოტის მონიტორინგის ჯგუფის ოქმები #1,2,3,4,5,6,7,8 შპს სკოლა პოლიგლოტის მასწავლებლებთან გასაუბრება; შპს სკოლა პოლიგლოტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება; შპს ,,პოლიგლოტი" განმავითარებელი კომენტარები სასწავლო საგნების მიხედვით მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე 2021-2022 ს/წ. ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რჩევები:	უმნიშვნელოვანესია სკოლის მხრიდან თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირება. მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ქცევით დარღვევებზე. მნიშვნელოვანია მასწავლებლებს შორის დაიწყოს აქტიური პროფესიული დიალოგი, გამომწვევი მიზეზების დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გუნდური ინტერვენციები ყოველდღიურ სასწავლო პროცესში, გაზიარებული კონკრეტული რეაგირებები და ინსტრუქციები მოსწავლის სასარგებლოდ, ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეზე და მშობელთან აქტიური დიალოგი მოსწავლის საჭიროებებზე, მშობლის პედაგოგიზაცია და მასთან თანამშრომლობა. იდენტიფიცირება, თუ რამდენადაა ის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება შინაარსის, პროდუქტის და განსაკუთრებით პროცესის მიმართულებით.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

X. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 21.03.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 34

34

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.